დეპოზიტის ხელშეკრულების
სტანდარტული პირობები

დამტკიცებულია სს „ლიბერთი ბანკის“ დირექტორთა საბჭოს
2017 წლის 28 აპრილის #318 სხდომის ოქმით / ბოლო ცვლილებები განხორციელებულია იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 31 მარტის ბრძანებით

შინაარსი

1. ტერმინთა განმარტებები 3
2. განცხადებები და გარანტიები 4
3. ანაბრით სარგებლობის პირობები 4
4. ხელშეკრულების მოქმედება და ხელშეკრულების შეწყვეტა 5
5. კომუნიკაცია 6
6. კონფიდენციალურობა 6
7. ხელშეკრულების ცვლილება 7
8. პრეტენზიები და დავები 7
9. ფორს-მაჟორი 7
10. გადასახადები 7
11. დასკვნითი დებულებები 7

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. თუ წინამდებარე **სტანდარტული პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. **ანგარიში - ბანკში** არსებული **მეანაბრის** საბანკო ანგარიშ(ებ)ი, მათ შორის **ანაბრის ანგარიში, ანაბრის მომსახურე ანგარიში, მიმდინარე ანგარიში, საბარათე ანგარიში** და სხვა;

1.1.2. **დეპოზიტი - ბანკის** მიერ **მეანაბრისთვის** შეთავაზებული/მიწოდებული ნებისმიერი ტიპის ანაბარი, მიმდინარე და საბარათე ანგარიში, რომელებსაც ერიცხება პროცენტი;

1.1.3. **ანაბარი - ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, **მეანაბრის** მიერ **ბანკისათვის** განსაზღვრელი ან განსაზღვრული ვადით საკუთრებაში გადაცემული ფულადი თანხა;

1.1.4. **ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა - დეპოზიტის** სახე, რომლის დროსაც **ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად გახსნილ მიმდინარე ან/და საბარათე ანგარიშზე **ბანკის** მიერ ხორციელდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა;

1.1.5. **ანაბრის ანგარიში - ანგარიში**, რომელზეც ირიცხება **მეანაბრის** მიერ **ბანკისათვის** გადაცემული ფულადი სახსრები;

1.1.6. **მიმდინარე/საბარათე ანგარიში - ანგარიში,** რომელზე განთავსებულია **კლიენტის** საკუთრებაში არსებული ფულადი თანხა. მიმდინარე/საბარათე ანგარიშზე დეპოზიტის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან ერთად ვრცელდება ფიზიკური პირის მომსახურების პირობები ან/და იურიდიული პირის საბანკო მომსახურების პირობები (კლიენტის კატეგორიის შესაბამისად), რომელიც განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე - https://libertybank.ge/ka/;

1.1.7. **ანაბრის მომსახურე ანგარიში - ბანკის** მიერ განსაზღვრული **ანგარიში**, რომელიც გამოიყენება **ანაბართან** დაკავშირებული საბანკო ოპერაციების საწარმოებლად (უნივერსალური (ლიბერთი) ანგარიში, სოციალური ანგარიში, იურიდიული პირის მიმდინარე ანგარიში და სხვა);

1.1.8. **დეპოზიტის ხელშეკრულება (ანაბრის ხელშეკრულება/ანგარიშზე სარგებლის დარიცხვის ხელშეკრულება) - ბანკსა** და **მეანაბრეს** შორის, მატერიალური, ელექტრონული ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის გამოყენებით გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტისათვის, **ბანკის** კონკრეტული საანაბრე/სადეპოზიტო პროდუქტით სარგებლობის ძირითადი პირობები და რომელსაც **მეანაბრე** ეთანხმება ხელმოწერის ან ელექტრონული ფორმით განხორციელებული ქმედების (ღილაკზე დაჭერა, ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა, სმს კოდის მოთხოვნა, ვერიფიკაცია და სხვა) საფუძველზე. ელექტრონული თანხმობა ითვლება **მეანაბრის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. **დეპოზიტის ხელშეკრულება** წარმოადგენს ერთიანი **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია **მეანაბრისათვის** ხელმისაწვდომ, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ **ელექტრონულ არხში**;

1.1.9. **ბანკი** - სს „ლიბერთი ბანკი“ (ს/კ 203828304), რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

1.1.10. **განცხადებები და გარანტიები -** წინამდებარე **სტანდარტული პირობების** მე-2 მუხლში მოცემული **მეანაბრის** განცხადებები და გარანტიები;

1.1.11. **დანართი** - წინამდებარე **სტანდარტული პირობები**, ასევე ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტი, რომელიც აზუსტებს, ცვლის, ან/და წყვეტს **ხელშეკრულებას** ან/და მის პირობებს და წარმოადგენს ერთიანი **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს;

1.1.12. **ელექტრონული არხი** - **ბანკის** მიერ განსაზღვრული მოწყობილობები, პროგრამული უზრუნველყოფები ან/და სხვადასხვა ელექტრონული არხები (მათ შორის და არამარტო **მობილური ტელეფონი**, **ინტერნეტ ბანკი**, USSD მენიუ, ვებგვერდი ან/და სხვა ელექტრონული ხელსაწყო / პროგრამული უზრუნველყოფა), რომლის საშუალებითაც **მეანაბრეს** ეძლევა საშუალება დაეთანხმოს **ხელშეკრულებას**, გაეცნოს **ხელშეკრულების თავსართის**, **ანაბრის ხელშეკრულების**, **სტანდარტული პირობების** ტექსტს და მათში განხორციელებულ ცვლილებებს/დამატებებს (ასეთის არსებობისას), ასევე აწარმოოს საბანკო ოპერაციები ან/და მიიღოს მის **ანგარიშთან** დაკავშირებული ინფორმაცია **ბანკში** მიუსვლელად;

1.1.13. **ვადიანი ანაბარი** - **ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, **მეანაბრის** მიერ **ბანკისათვის** განსაზღვრული ვადით საკუთრებაში გადაცემული ფულადი თანხა, რომელსაც **ბანკი** არიცხავს სარგებელს და **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ(ი) ვადაში/პერიოდულობით უბრუნებს **მეანაბრეს ანაბარზე** დარიცხულ სარგებელთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). **ვადიანი ანაბრის** ტიპის **ბანკის** სადეპოზიტო პროდუქტებს წარმოადგენს: ვადიანი ანაბარი, დაგროვებადი ანაბარი, სხვა არსებული ან/და **ბანკის** მიერ მომხმარებლ(ებ)ისათვის მომავალში შეთავაზებული **ვადიანი ანაბრის** ტიპის საბანკო სადეპოზიტო პროდუქტი, რომელზეც გავრცელდება წინამდებარე **სტანდარტული პირობებით** განსაზღვრული მოთხოვნები;

1.1.14. **ინტერნეტ ბანკი** - **ბანკის** ერთ-ერთი **ელექტრონული არხი**, რომლის მეშვეობითაც **მეანაბრეს** შესაძლებლობა აქვს **ბანკში** გამოუცხადებლად, **ბანკის** ინტერნეტ გვერდის http://365.ge საშუალებით, გაეცნოს **ხელშეკრულების თავსართს**, **ანაბრის ხელშეკრულებას**, **სტანდარტულ პირობებს** და მათში განხორციელებულ ცვლილებებს/დამატებებს (ასეთის არსებობისას), მიიღოს სხვადასხვა ინფორმაცია და აწარმოოს განსაზღვრული საბანკო ოპერაციები;

1.1.15. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;

1.1.16. **კონფიდენციალური ინფორმაცია** - თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** ხელმოწერის ან/და მისი შესრულების შედეგად ერთერთი **მხარის** მიერ მეორე **მხარის** შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია **მხარის** პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, **მხარის** მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული **პირ(ებ)ის**, **მესამე პირ(ებ)თან** არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

1.1.17. **მესამე პირ(ებ)ი** - ნებისმიერი **პირი**, რომელიც არ წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

1.1.18. **მეანაბრე/კლიენტი** - **დეპოზიტის ხელშეკრულებაში** მითითებული **პირი**, რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს.** წინამდებარე **პირობების** მიზნებისთვის, **მეანაბრეში** მოიაზრება **კლიენტი** და პირიქით;

1.1.19. **მობილური ტელეფონი** - ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელში ჩართული ტელეფონი;

1.1.20. **მოთხოვნამდე ანაბარი** - **ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, **მეანაბრის** მიერ **ბანკისათვის** განსაზღვრელი ვადით საკუთრებაში გადაცემული ფულადი თანხა, რომელსაც **ბანკი ხელშეკრულებით** განსაზღვრული მოცულობით არიცხავს სარგებელს და **მეანაბრის** მოთხოვნის შემთხვევაში უბრუნებს მას დარიცხულ **სარგებელთან** ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). **მოთხოვნამდე ანაბრის** ტიპის **ბანკის** სადეპოზიტო პროდუქტებს წარმოადგენს: შემნახველი ანაბარი, შემნახველი ანაბარი „მეტი“, სხვა არსებული ან/და **ბანკის** მიერ მომხმარებლ(ებ)ისთვის მომავალში შეთავაზებული **მოთხოვნამდე ანაბრის** ტიპის საბანკო სადეპოზიტო პროდუქტი, რომელზეც გავრცელდება წინამდებარე **სტანდარტული პირობებით** განსაზღვრული მოთხოვნები;

1.1.21. **მხარე/მხარეები** - **ბანკი** ან/და **მეანაბრე** კონტექსტის შესაბამისად;

1.1.22. **პირი/პირები** - ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ი ან/და **კანონმდებლობის** საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული/არარეგისტრირებული წარმონაქმნ(ებ)ი;

1.1.23. **სააგენტო ან დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო** - „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო;

1.1.24. **საბანკო დღე – ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დღის (**ბანკის** მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც **ბანკი** ახორციელებს საბანკო მომსახურებას;

1.1.25. **საპროცენტო განაკვეთი/პროცენტი** - **ხელშეკრულების** საფუძველზე განსაზღვრული და **ანაბრის** თანხაზე **ბანკის** მიერ დასარიცხი **სარგებლის** წლიური (წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთი) კალენდარული დღე) საპროცენტო განაკვეთის მოცულობა;

1.1.26. **სარგებელი/დარიცხული სარგებელი** - **ბანკის** მიერ **დეპოზიტის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **მეანაბრისათვის** გადასახდელი სარგებელი, რომელიც გამოითვლება **ხელშეკრულებით** დადგენილი პირობების შესაბამისად;

1.1.27. **სტანდარტული პირობები** ან **პირობები**[1] - წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი სტანდარტული პირობები, რომელიც წარმოადგენს **დეპოზიტისხელშეკრულების დანართს** და განთავსებულია **მეანაბრისათვის** ხელმისაწვდომ, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ **ელექტრონულ არხში**;

1.1.28. **ფორს-მაჟორი/ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ი** - **ხელშეკრულების** ხელმოწერის შემდეგ წარმოშობილი დაუძლეველი ძალის გარემოებები, სტიქიური მოვლენები, კატაკლიზმები, ომი, სამოქალაქო არეულობა, გაფიცვა, ლოკაუტი, კარანტინი, საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების ან/და თვითმმართველობის ორგანოების, საერთაშორისო საგადამხდელო

[1] წინამდებარე **პირობების** ამოქმედებამდე გახსნილ შევსებად და სოციალურ ანაბრებზე გავრცელდება დეპოზიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების 2019 წლის 01 იანვრის რედაქცია.

სისტემების გადაწყვეტილებები და ა.შ. რომელიც: (ა) არ არის დაკავშირებული **მხარეთა** ქმედებასთან ან/და უმოქმედობასთან; და (ბ) შეუძლებელს ხდის **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებ(ებ)ის სრულ და ჯეროვან შესრულებას;

1.1.29. **ხელშეკრულება** - **მხარეთა** შორის გაფორმებული: (ა) **ხელშეკრულების თავსართი** (**ანაბრის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები/ანგარიშზე სარგებლის დარიცხვის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები);** (ბ) **დეპოზიტის ხელშეკრულება** (გ) წინამდებარე **სტანდარტული პირობები** და (დ) **მენაბრის** მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი განაცხად(ებ)ის, ან/და ნებისმიერი დამატებითი განაცხად(ებ)ის/**დანართ(ებ)ის** ერთობლიობა, რომელიც დაიდო/დაიდება **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.1.30. **ხელშეკრულების თავსართი (ანაბრის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები/ანგარიშზე სარგებლის დარიცხვის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები)** - მატერიალური, ელექტრონული ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის გამოყენებით შექმნილი და **მეანაბრისათვის** მიწოდებული წერილობითი ინფორმაცია, რომლითაც **მეანაბრე** ეცნობა **ანაბრის/ანგარიშზე სარგებლის დარიცხვის** ძირითად პირობებს (პროცენტი, ფინანსური ხარჯები და სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია, რომლის **მენაბრისათვის** მიწოდებაც მოთხოვნილია **კანონმდებლობით**). **ხელშეკრულების თავსართი** წარმოადგენს ერთიანი **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია **მეანაბრისათვის** ხელმისაწვდომ, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ **ელექტრონულ არხში**;

1.2. **ხელშეკრულებაში** მხოლობით რიცხვში გამოყენებული ტერმინები ან/და სიტყვები უნდა იყოს აღქმული მრავლობით რიცხვშიც (და პირიქით), თუ თავად **ხელშეკრულების** შესაბამისი პირობის კონტექსტისდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

2. განცხადებები და გარანტიები

2.1. **მეანაბრე** აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

2.1.1. წარმოადგენს უფლებაუნარიან და ქმედუნარიან პირს, რომელსაც **ხელშეკრულების** დადების მიზნით მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და დავალება (მინდობილობა);

2.1.2. მის (**მეანაბრის**) მიერ **ხელშეკრულების** დადება ან/და შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში **კანონმდებლობასთან**, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებით ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას და არ წარმოშობს **მესამე პირ(ებ)ისათვის ხელშეკრულებაზე** შეცილების უფლებას;

2.1.3. **ხელშეკრულების** დადების მიზნით, **ბანკისათვის** წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო წარდგენილი დოკუმენტები წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;

2.1.4. **ხელშეკრულების** დადების მიზნით, **ბანკის** ან/და მესამე პირ(ებ)ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, **მეანაბრის** ან მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, **ბანკს** არ გამოუყენებია ბოროტად **ბანკის** საბაზრო ძალაუფლება;

2.1.5. არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსითგათვალისწინებულ მეწარმე ფიზიკურ პირს.

2.1.6. **მეანაბრე** სრულად გაეცნო და მისთვის (**მეანაბრისთვის**) მისაღებია **ხელშეკრულების თავსართში** მოცემული ინფორმაცია, **დეპოზიტის ხელშეკრულების** პირობები დაწინამდებარე **სტანდარტული პირობები**;

2.2. **მეანაბრე** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** ნებისმიერი გარემოებ(ებ)ის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს **ხელშეკრულებაში** მითითებული **განცხადებებისა და გარანტიების** ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა.

2.3. **მხარეები** აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებას** დებენ **განცხადებებსა და გარანტიებზე** დაყრდნობით და თვლიან მათ **ხელშეკრულების** პირობებად. შესაბამისად, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **განცხადებების და გარანტიების** დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებაზე** ცალმხრივი უარის სათქმელად.

3. ანაბრით სარგებლობის პირობები

3.1. ***მოთხოვნამდე ანაბრით სარგებლობის პირობები***

3.1.1. ***მოთხოვნამდე ანაბრის თანხის განთავსება და გაცემა. შენატანები.*** **მოთხოვნამდე ანაბარზე** თავდაპირველი და შემდგომი მინიმალური და მაქსიმალური შენატანების ოდენობა და პერიოდულობა არ არის შეზღუდული.

3.1.2. **მეანაბრე** უფლებამოსილია ნებისმიერ **საბანკო დღეს ანაბრის ანგარიშიდან** სრულად (ანაბრის ხელშეკრულებაში მითითებული **ანაბრის** ან/და მასზე **დარიცხული სარგებლის** განაღდების დღიური ლიმიტის ფარგლებში) ან ნაწილობრივ გაიტანოს/გადარიცხოს **ანაბარი** ან/და მასზე **დარიცხული სარგებელი** (ასეთის არსებობისას), ამასთან **ანაბრის** ან/და მასზე **დარიცხული სარგებელი** (ასეთის არსებობისას) ნაღდი ანგარიშსწორების წესით გატანისას, თანხის განაღდება განხორციელდება **ანაბრის ანგარიშიდან ბანკის** ფილიალების/სერვის ცენტრების საშუალებით, ხოლო უნაღდო ანგარიშსწორების წესით განაღდებისას - **ანაბრის მომსახურე ანგარიშზე** თანხის გადარიცხვის გზით.

3.1.3. ***მოთხოვნამდე ანაბარზე სარგებლის დარიცხვა და მისი გაცემა.***

3.1.3.1. შემნახველ ანაბარზე სარგებლის დარიცხვა განხორციელდება ყოველი **საბანკო დღის** ბოლოს შემნახველი **ანაბრის ანგარიშზე** არსებულ ნაშთზე შესაბამისი შემნახველი **ანაბრის ხელშეკრულებაში** მითითებული **საპროცენტო განაკვეთის** გათვალისწინებით.

3.1.3.2. შემნახველ ანაბარზე „მეტი“ **სარგებლის დარიცხვა** განხორციელდება ყოველთვიურად, 1 (ერთი) თვის განმავლობაში შემნახველ ანაბარზე „მეტი“ უწყვეტად განთავსებულ მინიმალურ ნაშთზე.

3.1.3.3. **ბანკი** უფლებამოსილია **დარიცხული სარგებელი** (ასეთის არსებობისას) **მოთხოვნამდე ანაბრის ანგარიშზე** ასახოს/ჩარიცხოს იმავე **მოთხოვნამდე ანაბრის ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობით, ყოველი კალენდარული თვის **ბანკის** მიერ განსაზღვრულ რიცხვში.

3.1.4. ***დამატებითი პირობები მოთხოვნამდე ანაბრისთვის[2].***

3.1.4.1. **ბანკი** უფლებამოსილია **მოთხოვნამდე ტიპის ანაბრებს** დაარიცხოს განსხვავებული **საპროცენტო განაკვეთი** ანგარიშის სატარიფო პაკეტების[3] შესაბამისად. კერძოდ, სხვადასხვა სატარიფო პაკეტში შემავალ **მოთხოვნამდე ტიპის ანაბარს** შესაძლოა **ბანკმა** დაარიცხოს განსხვავებული **საპროცენტო სარგებელი.**

3.1.4.2. სატარიფო პაკეტის ცვლილების შემთხვევაში, შესაბამისი სატარიფო პაკეტისთვის დადგენილი **ანაბრის საპროცენტო სარგებლის** მიღებისთვის, **მეანაბრე** ვალდებულია გააფორმოს **ბანკთან ანაბრის სარგებლის** ცვლილების შესახებ ორმხრივი შეთანხმება. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, **ბანკი** უფლებამოსილია **მეანაბრის ბანკისთვის განაცხადით** მომართვა შესაბამისი **სატარიფო პაკეტის** ცვლილების თაობაზე მიიჩნიოს **მოთხოვნამდე ტიპის ანაბრის საპროცენტო განაკვეთის** ცვლილებაზე თანხმობად და ორმხრივი შეთანხმების არარსებობის მიუხედავად ცალმხრივად შეცვალოს **მოთხოვნამდე ანაბარზე** დასარიცხი საპროცენტო სარგებლის ოდენობა.

3.1.4.3. **ბანკი მეანაბრეს** სთავაზობს ოთხვალუტიანი **მოთხოვნამდე ანაბრის** გახსნის შესაძლებლობას, რაც საშუალებას მისცემს **მეანაბრეს ანაბრის ანგარიშზე** თანხა ერთდროულად ან ცალ-ცალკე განათავსოს ოთხ განსხვავებულ ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო, გირვანქა სტერლინგი). ამასთან, **ბანკი**_იტოვებს უფლებას **მოთხოვნამდე ანაბრის** გახსნის მსურველ **მეანაბრეს** პირველი **მოთხოვნამდე ანაბარი** გაუხსნას ოთხივე ვალუტაში, ხოლო ყოველი შემდგომი **მოთხოვნამდე ანაბრის** გახსნის შემთხვევაში, საკუთარი შეხედულებისამებრ, მისცეს **მეანაბრეს** საშუალება **მოთხოვნამდე ანაბრის** ვალუტად თავად აირჩიოს ერთ-ერთი ზემოთ მითითებული ვალუტა.

3.2. ***ვადიანი ანაბრით სარგებლობის პირობები***

3.2.1. ***ანაბრის თანხის განთავსება. შენატანები.*** **ხელშეკრულების** საფუძველზე, **მეანაბრე ბანკს** ანიჭებს უფლებამოსილებას, **ბანკმა მეანაბრის ანაბრის მომსახურე ანგარიშიდან** უაქცეპტო წესით ჩამოჭრას **ანაბრის ხელშეკრულებაში** მითითებული **ანაბარზე** თავდაპირველი/მინიმალური შენატანის მოცულობა და უზრუნველყოს მისი გადატანა **მეანაბრის ანაბრის ანგარიშზე.** ამასთან, თუ **ანაბრის მომსახურე ანგარიშზე** ზემოხსენებული თანხა არ არსებობს ან არასაკმარისია, **მეანაბრე** ვალდებულია **ხელშეკრულების** გაფორმებისთანავე უზრუნველყოს აღნიშნული თანხის თავის **ანაბრის მომსახურე ანგარიშზე** განთავსება.

3.2.2. თუ **მეანაბრე** უფლებამოსილია შესაბამისი **ანაბრის ხელშეკრულებით** განსაზღვრული თავდაპირველი/მინიმალური შენატანის გარდა, **ანაბრის ანგარიშზე** მოახდინოს დამატებითი შენატან(ებ)ის განთავსება, დამატებითი შენატან(ებ)ის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება იმავე **ანაბრის ხელშეკრულებით**. სხვა შემთხვევაში **მეანაბრე** არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს **ბანკისგან ანაბრის ანგარიშზე** დამატებითი შენატან(ებ)ის განთავსება.

3.2.3. ***სარგებლის დარიცხვა.*** **ბანკი** ვალდებულია დაარიცხოს **ანაბარს სარგებელი** შესაბამის **ანაბრის ხელშეკრულებაში** მითითებული **საპროცენტო განაკვეთის** გათვალისწინებით, ხოლო **ანაბრის ხელშეკრულებით განსაზღვრული** ვადის ამოწურვისას დაუბრუნოს **მეანაბრეს** მის მიერ შემოტანილი **ანაბარი**.

---

[2] იმ **მეანაბრეებს,** რომლებსაც **ბანკში** უკვე გააჩნიათ შემნახველი ანაბარი/ანაბრები ერთ ვალუტაში, 2019 წლის 29 მაისიდან მიეცემათ შესაძლებლობა ისარგებლონ ოთხ ვალუტიანი შემნახველი ანაბრით და იმავე შემნახველ ანაბრის ანგარიშზე (ერთზე მეტი შემნახველი ანაბრის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთ მათგანზე **ბანკის** შეხედულებისამებრ) ანაბრის თანხა განათავსონ შემდეგ ვალუტებში: ლარი, აშშ დოლარი, ევრო, გირვანქა სტერლინგი. ოთხვალუტიანი შემნახველი **ანაბრის ხელშეკრულების** პირობების (მათ შორის მნიშვნელოვანი პირობების) სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ლინკს: http://bit.ly/2K7OHEE, ხოლო **ხელშეკრულების** მატერიალური ფორმით მისაღებად მობრძანდეთ **ბანკის** ნებისმიერ ფილიალში / სერვის ცენტრში.

[3] წინამდენარე დეპოზიტის სტანდარტულ პირობებში გამოყენებულ ტერმინში „ანგარიშის სატარიფო პაკეტში/სატარიფო პაკეტში“ იგულისხმება **ბანკის** მიერ შესაბამისი პაკეტისთვის დადგენილი პროდუქტების ერთობლიობა, რომლითაც სარგებლობს **მეანაბრე.**

3.2.4. თუ **მეანაბრესა** და **ბანკს** შორის გაფორმებულია **ანაბრის ხელშეკრულება** (,,დაგროვებადი'' ანაბარი), **მეანაბრის** შემდგომ შენატანებს **სარგებელი** დაერიცხება **ანაბრის ხელშეკრულების** დარჩენილი ვადისთვის **ბანკში** დადგენილი შესაბამისი წლიური საპროცენტო განაკვეთის მოცულობით.

3.2.5. ***ანაბრის ან/და მასზე დარიცხული სარგებლის გაცემა.*** **ბანკი** ვალდებულია **მეანაბრეს ანაბრის მომსახურე ანგარიშზე** ჩაურიცხოს **დარიცხული სარგებელი** შესაბამისი **ანაბრის ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობით, იმის გათვალისწინებით, რომ:

3.2.5.1. თუ **ანაბრის ხელშეკრულებით** განსაზღვრულია **სარგებლის მეანაბრისათვის** წინასწარ გაცემა, **სარგებელი მეანაბრის ანაბრის მომსახურე ანგარიშზე** ჩაირიცხება **ხელშეკრულების** ხელმოწერის დღეს;

3.2.5.2. თუ **ანაბრის ხელშეკრულებით** განსაზღვრულია **სარგებლის მეანაბრისათვის** ყოველთვიურად გაცემა, **სარგებელი ანაბრის მომსახურე ანგარიშზე** ჩაირიცხება ყოველი მომდევნო თვის იმავე რიცხვში, რომელშიც გაფორმდა **ანაბრის ხელშეკრულება**. ხოლო, თუ ანაბრის მოქმედების კონკრეტულ კალენდარულ თვეში არ არსებობს **ანაბრის ხელშეკრულების** გაფორმების კალენდარული რიცხვი, **სარგებლის** ჩარიცხვა **ანაბრის მომსახურე ანგარიშზე** განხორციელდება აღნიშნული კალენდარული თვის ბოლო რიცხვში;

3.2.5.3. თუ **ანაბრის ხელშეკრულებით** განსაზღვრულია **სარგებლის მეანაბრისათვის ანაბრის** მოქმედების ვადის ბოლოს გაცემა, **სარგებელი მეანაბრის ანაბრის მომსახურე ანგარიშზე** ჩაირიცხება **ანაბრის ხელშეკრულებაში** მითითებული ანაბრის მოქმედების ვადის ბოლო კალენდარულ დღეს.

3.2.6. **მეანაბრე** უფლებამოსილია **ანაბარი** ან/და მასზე **დარიცხული სარგებელი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოითხოვოს/გაიტანოს (გადარიცხოს) მხოლოდ **ანაბრის ხელშეკრულებაში** მითითებულ ვადაში და პერიოდულობით.

3.2.7. **ანაბრის** ხელშეკრულებაში (,,დაგროვებადი'' ანაბარი) მითითებულ **ანაბრის** მოქმედების ვადაზე ადრე **ანაბრის** ნებისმიერი შენატანის თანხის სრულად ან ნაწილობრივ მოთხოვნა/გატანა (გადარიცხვა) ჩაითვლება **მეანაბრის** მხრიდან **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტად (დარღვევად), რა შემთხვევაშიც **ბანკი ანაბარს** დაარიცხავს **სარგებელს სტანდარტული პირობების** 4.3.2 ქვეპუნქტში მითითებული პირობების მიხედვით.

3.3. ***სხვა დამატებითი პირობები.*** **ბანკი** უფლებამოსილია განკარგოს **ანაბრის ანგარიშზე** რიცხული თანხა საკუთარი სახელითა და შეხედულებისამებრ.

3.4. ***ანგარიშზე სარგებლის დარიცხვის პირობები***

3.4.1. ***ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა და მისი გაცემა***

3.4.1.1. **ბანკსა** და **კლიენტს** შორის გაფორმებული **ანგარიშზე სარგებლის დარიცხვის ხელშეკრულებით ბანკი კლიენტის** ხელშეკრულებით განსაზღვრულ **ანგარიშზე** განთავსებულ თანხებს დაარიცხავს სარგებელს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული მოცულობით და პირობების შესაბამისად.

3.4.1.2. **ანგარიშზე** სარგებლის დარიცხვა განხორციელდება ყოველი **საბანკო დღის** ბოლოს **ანგარიშზე** არსებულ ნაშთზე შესაბამისი **ანგარიშზე სარგებლის დარიცხვის ხელშეკრულებაში** მითითებული **საპროცენტო განაკვეთის** გათვალისწინებით.

3.4.1.3. **ბანკი** უფლებამოსილია დარიცხული სარგებელი (ასეთის არსებობისას) **ანგარიშზე** ასახოს/ჩარიცხოს იმავე **ანგარიშზე სარგებლის დარიცხვის ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობით, ყოველი კალენდარული თვის **ბანკის** მიერ განსაზღვრულ რიცხვში.

3.4.2. ***დამატებითი პირობები ანგარიშზე სარგებლის დარიცხვისთვის:***

3.4.2.1. **ანგარიშზე სარგებლის დარიცხვის ხელშეკრულებაზე** გარდა დეპოზიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისა, ვრცელდება ფიზიკური პირის მომსახურების პირობები, ან/და იურიდიული პირის საბანკო მომსახურების პირობები (კლიენტის კატეგორიის შესაბამისად), რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე - https://libertybank.ge/ka/.

3.4.2.2. **ბანკი** უფლებამოსილია **ანგარიშზე** დაარიცხოს განსხვავებული საპროცენტო განაკვეთი ანგარიშის სატარიფო პაკეტების შესაბამისად. კერძოდ, სხვადასხვა სატარიფო პაკეტში შემავალ **ანგარიშს** შესაძლოა **ბანკმა** დაარიცხოს განსხვავებული საპროცენტო სარგებელი.

3.4.2.3. სატარიფო პაკეტის ცვლილების შემთხვევაში, შესაბამისი სატარიფო პაკეტისთვის დადგენილი ანგარიშზე დასარიცხი საპროცენტო სარგებლის მიღებისთვის, **კლიენტი** ვალდებულია გააფორმოს **ბანკთან ანგარიშზე** სარგებლის დარიცხვის ცვლილების შესახებ ორმხრივი შეთანხმება. **კლიენტი** აცნობიერებს, რომ მხოლოდ ახალი სატარიფო პაკეტის შეძენა არ გულისხმობს შეძენილი პაკეტისთვის განსაზღვრული **ანგარიშზე** დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის მის **ანგარიშზე** გავრცელებას, შესაბამისი ახალი სატარიფო პაკეტისთვის განკუთვნილი, **ანგარიშზე** დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი გავრცელდება მხოლოდ **კლიენტის** მიერ ბანკთან ანგარიშზე სარგებლის დარიცხვის ცვლილების შესახებ ორმხრივი შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში.

3.5. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში **მეანაბრეს**, **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, უფლება არა აქვს განახორციელოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **ანაბრის** ან/და **სარგებლის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაგირავება ან/და **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **ანაბრის** ან/და **სარგებლის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხაზე მოთხოვნის უფლების დათმობა.

3.6. თუ **ბანკთან** გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ის (შემდგომში - **ძირითადი ხელშეკრულებ(ები)ა**) საფუძველზე, **ანაბარი** წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს, **მეანაბრე ძირითადი ხელშეკრულების** მოქმედების მანძილზე უარს ამბობს მის უფლებაზე ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტოს/მოშალოს **ანაბრის ხელშეკრულება(ები)** ან/და სრულად ან ნაწილობრივ მოითხოვოს **ანაბრის** თანხა.

3.7. **მეანაბრე** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

3.7.1. **მეანაბრის ბანკში** არსებული ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკომისიო, პირგასამტეხლო, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს **მეანაბრის ბანკის** მიმართ არსებული ფულადი ვალდებულების ან/და სხვა ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად (ასეთების არსებობისას);

3.7.2. თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება (ასეთის არსებობისას) ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **მეანაბრის ანგარიშიდან.**

3.7.3. **მეანაბრე** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა მესამე პირ(ებ)ის** მიერ **ანაბარზე** განთავსების მიზნით **ანაბრის მომსახურე ანგარიშზე** ჩარიცხული/შემოტანილი თანხები, უაქცეპტო წესით ჩამოჭრას და უზრუნველყოს მათი გადატანა **ანაბრის ანგარიშზე**.

3.8. **მეანაბრე** ვალდებულია სრულად შეინახოს **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული დოკუმენტაცია.

3.9. ***ანაბრის პროლონგაცია.*** **ანაბრის** პროლონგაცია წარმოადგენს **მეანაბრის ბანკში** არსებული **დეპოზიტის** მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ავტომატური გაგრძელების შესაძლებლობას, რომელსაც სთავაზობს **ბანკი კლიენტს** იგივე ტიპის **ანაბარზე, დეპოზიტის** პროლონგაციის მომენტში **ბანკში** მოქმედი პირობების შესაბამისად.

3.10. **მეანაბრე** უფლებამოსილია **ანაბრის** ავტომატური პროლონგაციით სარგებლობის შესახებ სურვილი დააფიქსიროს **ანაბრის** გახსნის მომენტშივე ან შემდგომ **ანაბრის** ვადის გასვლამდე ნებისმიერ დროს **ბანკში** შესაბამისი **განაცხადით** მომართვის გზით.

3.11. **ბანკი** უფლებამოსილია **მეანაბრის** მიერ შესაბამისი **განაცხადით** მომართვის შემთხვევაში, მოახდინოს **ანაბრის** პროლონგაცია, **მეანაბრის** მიერ **განაცხადში** დაფიქსირებული ვადით.

3.12. **ანაბრის** პროლონგაცია ყოველ ჯერზე განხორციელდება **განაცხადში** დაფიქსირებული ვადით, სანამ **მეანაბრე** არ დააფიქსირებს პროლონგაციის შეწყვეტის სურვილს შესაბამისი **განაცხადით** პროლონგაციის პირობის გაუქმების მოთხოვნით მომართვის გზით.

3.13. თუ **მეანაბრის ანაბრის** პროლონგაცია შესრულდება წარმატებით, პროლონგირებული **ანაბრის** საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება პროლონგაციის მომენტში **ბანკში** მოქმედი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაეგზავნება **მეანაბრეს** პროლონგაციის შესრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში **ბანკში** დაფიქსირებულ საკონტაქტო მონაცემებზე.

3.14. **მეანაბრის** მიერ პროლონგაციის უფლებით სარგებლობის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია დარიცხული სარგებლის **მეანაბრისთვის** გაცემა განახორციელოს პროლონგაციამდე არსებული **ანაბრის** მოქმედების ვადის ბოლოს.

3.15. **ანაბრის** პროლონგაცია არ განხორციელდება თუ **მეანაბრის** საბანკო ანგარიშების მიმართ გამოყენებულია ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებები (მათ შორის, ინკასო/ყადაღა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ან/და **დეპოზიტი** გამოყენებულია სხვა ვალდებულებ(ებ)ის (მათ შორის, საკრედიტო ან/და სხვა ტიპის ხელშეკრულებ(ებ)იდან წარმოშობილი ვალდებულებ(ებ)ის) უზრუნვნელყოფის საშუალებად

3.16. **ბანკი** შესაძლებლობას აძლევს **მეანაბრეს** მოახდინოს **ანაბრის** მოქმედების ვადის გაგრძელება შემდეგი პირობებით:

3.16.1. **ვადიანი ანაბრის** პროლონგაცია შესაძლებელია მხოლოდ **დეპოზიტის** ძირი თანხით; ან

3.16.2. **დაგროვებადი ანაბრის** პროლონგაცია შესაძლებელია როგორც **დეპოზიტის** ძირი თანხით (დანამატების ჯამი), ასევე ძირის (დანამატების ჯამს) და დარიცხული პროცენტის ჯამური თანხით, იმ შემთხვევაში თუ **დეპოზიტზე** დარიცხული საპროცენტო სარგებლის გაცემა ხდება **ანაბრის** მოქმედების ვადის ბოლოს.

3.17. **მეანაბრის** მიერ **ანაბრის** პროლონგაციის თაობაზე **ბანკისათვის განაცხადით** მიმართვა არ ავალდებულებს **ბანკს** მოახდინოს **მეანაბრის ანაბრის** მოქმედების ვადის გაგრძელება/პროლონგაცია.

3.18. იმ შემთხვევაში თუ **მეანაბრის ანაბრის** პროლონგაცია ვერ შესრულდა წარმატებით, **ბანკი** მას (**მეანაბრეს**) აღნიშნულის თაობაზე აცნობებს წერილობით **ბანკში** დაფიქსირებულ საკონტაქტო მონაცემებზე.

3.19. **მეანაბრის** მიერ **ბანკისათვის ანაბრის** პროლონგაციის მოთხოვნით მიმართვის მომენტიდან **ანაბრის** მოქმედების ვადის გაგრძელებამდე პერიოდში, **მეანაბრე** უფლებამოსილია გააუქმოს **ანაბრის** პროლონგაციის მოთხოვნა აღნიშნულის შესახებ **ბანკში განაცხადის** დაფიქსირების გზით.

4. ხელშეკრულების მოქმედება და ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

4.2. ***მოთხოვნამდე ანაბრის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა***

4.2.1. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **მოთხოვნამდე ანაბრის ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტა:

4.2.1.1. **ბანკის** მიერ, თუ **მეანაბრე** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, **განცხადებებს და გარანტიებს**);

4.2.1.2. **ბანკის** მიერ, თუ **ანაბრის ანგარიშზე** 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში არ დაფიქსირდება დადებითი ნაშთი;

4.2.1.3. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;

4.2.1.4. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (მათ შორის **მეანაბრის** მიერ **ბანკისათვის** 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე).

4.2.2. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში, **სარგებლის ანაბრის ანგარიშზე** ჩარიცხვის/ასახვის დღიდან **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე არსებულ პერიოდში, **ბანკი** ყოველი კალენდარული დღის ბოლოს **ანაბრის ანგარიშზე** არსებულ ნაშთებს დაარიცხავს **სარგებელს** შესაბამის **მოთხოვნამდე ანაბრის ხელშეკრულებაში** მითითებული **საპროცენტო განაკვეთის** გათვალისწინებით, ხოლო **დარიცხულ სარგებელს ანაბრის ანგარიშზე** ასახავს/ჩარიცხავს **ხელშეკრულების** შეწყვეტის (დარღვევის) დღეს.

4.3. ***ვადიანი ანაბრის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა***

4.3.1. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტა:

4.3.1.1. **ბანკის** მიერ, თუ **მეანაბრე** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, **განცხადებებს და გარანტიებს**);

4.3.1.2. **ბანკის** მიერ, თუ **მეანაბრე ბანკისაგან** მოითხოვს **ვადიანი ანაბრის** ან/და მასზე **დარიცხული სარგებლის** სრულად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე გატანას (გადარიცხვას);

4.3.1.3. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;

4.3.1.4. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (მათ შორის **მეანაბრის** მიერ **ბანკისათვის** 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე).

4.3.2. **ხელშეკრულების** ვადაზე ადრე შეწყვეტის (დარღვევის) შემთხვევაში **სარგებლის** კალკულაცია განხორციელდება შემდეგი პრინციპით: შესაბამის **ვადიანი ანაბრის ხელშეკრულებაში** მითითებული **პროცენტი**, გაანგარიშებული **ანაბრის** შემოტანიდან ფაქტობრივად გასული დღეების რაოდენობაზე. იმ შემთხვევაში, თუ **მეანაბრეს** უკვე მიღებული აქვს თავის **ანაბარზე** დარიცხული **სარგებელი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იგი (**სარგებელი**) გამოიქვითება **ანაბრიდან** ან/და **ხელშეკრულების** ვადაზე ადრე შეწყვეტის შედეგად **დარიცხული სარგებლიდან** და **ბანკის** მიერ ჩამოიჭრება **მეანაბრის ანაბრის მომსახურე ანგარიშიდან** უაქცეპტო წესით.

4.4. ***ანგარიშზე სარგებლის დარიცხვის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა:***

4.4.1. **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია**:**

4.4.1.1. **ბანკის** მიერ, თუ **კლიენტი** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, **განცხადებებს და გარანტიებს**);

4.4.1.2. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;

4.4.1.3. **ბანკის** მიერ ნებისმიერ სხვა შემთხვევაში **კლიენტისთვის** არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით / ელექტრონული ფოსტით / ინტერნეტ ბანკით / მობაილ ბანკით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

4.5. ***ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა პირობები***

4.5.1. **ხელშეკრულების** შეწყვეტა არ ათავისუფლებს **მეანაბრეს ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.

4.5.2. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში **ბანკი** თავისუფდება **ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

4.5.3. **ხელშეკრულების** შეწყვეტის ან მისი მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, **ანაბარი** ან/და მასზე დარიცხული **სარგებელი** (ასეთის არსებობისას) **ბანკის** მიერ ჩაირიცხება მოთხოვნამდე ტიპის ანაბრის შემთხვევაში **ანაბრის ხელშეკრულებაში** მითითებულ **ანაბრის ანგარიშზე**, ხოლო ვადიანი ტიპის ანაბრის შემთხვევაში - **ანაბრის ხელშეკრულებაში** მითითებულ **ანაბრის მომსახურე ანგარიშზე** და **ბანკი** შეწყვეტს **ანაბარზე სარგებლის** დარიცხვას.

4.5.4. **ბანკი** უფლებამოსილია **დეპოზიტის ხელშეკრულების** საფუძველზე კონკრეტული საპროცენტო სარგებლის დარიცხვა განსაზღვროს მხოლოდ შესაბამისი **სატარიფო პაკეტის** შემძენის შემთხვევაში. შესაბამისად, თუ **მეანაბრე** აღარ ისარგებლებს აღნიშნული სატარიფო პაკეტით, **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს შესაბამისი **დეპოზიტის ხელშეკრულება,** რის თაობაზეც **მეანაბრეს** აღარ გაეგზავნება დამატებითი შეტყობინება.

5. კომუნიკაცია

5.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ურთიერთობა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მიეწოდოს **მხარეს ხელშეკრულებაში** ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), ინტერნეტ ბანკის, მობილ ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

5.1.1. **მეანაბრის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, **ბანკის** მიერ - **მეანაბრისათვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

5.1.2. **ბანკის** მიერ **მეანაბრისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **მეანაბრისათვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **მეანაბრის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისთვის ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

5.1.3. **ბანკის** მიერ **მეანაბრისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **მეანაბრის** ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

5.1.4. **ბანკის** მიერ **მეანაბრისათვის** ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), ინტერნეტ ბანკის, მობილ ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

5.2. თუ **მეანაბრე ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის **ხელშეკრულებაში** არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე, ან გაგზავნილი შეტყობინება ვერ ჩაბარდება **მეანაბრეს** მისამართზე არყოფნის მიზეზით ზედიზედ ორჯერ, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

5.3. **მხარეთა** შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **მეანაბრესთან** კომუნიკაცია განახორციელოს **მეანაბრისთვის** მისაღებ სხვა ენაზეც.

5.4. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **მეანაბრესთან** კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნით. შესაბამისად, **მეანაბრისთვის** განკუთვნილი შეტყობინება (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) შესაძლოა ატარებდეს (ა) საინფორმაციო/ტრანზაქციულ (მაგალითად ინფორმაცია **მეანაბრის ანგარიშზე** შესრულებული ოპერაციების შესახებ, წვდომის კოდების **მეანაბრისთვის** მიწოდება და სხვა), (ბ) სახელშეკრულებო-ვალდებულებით (მაგალითად, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და სხვა), (გ) მარკეტინგულ (მაგალითად, ახალი ანაბრის ან სხვა პროდუქტის შეთავაზება და სხვა) ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შინაარსს.

5.5. **ბანკი** უფლებამოსილია **მეანაბრესთან** კომუნიკაციისას გამოიყენოს **ბანკში მეანაბრის**, ან მისი თანხმობით მესამე პირების მიერ **მეანაბრის** შესახებ დაფიქსირებული, ან თავად **მენაბრის** მიერ მესამე პირების შესახებ დაფიქსირებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი. ერთი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაფიქსირებული **მეანაბრის** ან/და მესამე პირ(ებ)ის საკონტაქტო მონაცემები (მიუხედავად იმისა მოქმედია თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება), **ბანკის** მიერ შესაძლებელია გამოყენებული იქნას, ამავე ან/და **ბანკის** სხვა **მეანაბრის ბანკთან** არსებული სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში კომუნიკაციის მიზნით და პირიქით.

5.6. **მეანაბრე** თავად არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საკონტაქტო მონაცემების გამოყენებისას კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად. თუ **მეანაბრეს** არ სურს **ბანკმა** ისარგებლოს რომელიმე საკონტაქტო მონაცემით, **მეანაბრემ** აღნიშნული მოთხოვნით **ბანკს** უნდა მიმართოს წერილობით.

6. კონფიდენციალურობა

6.1. **ხელშეკრულების** ხელმოწერის ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი **მხარის** მიერ მეორე **მხარის** შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია **მხარის** პერსონალური და ფინანსური მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია განეკუთვნება კონფიდენციალურ ინფორმაციას (შემდგომში - **კონფიდენციალური ინფორმაცია**).

6.2. **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და **მესამე პირ(ებ)ს** არ გადასცეს **კონფიდენციალური ინფორმაცია**.

6.3. **კონფიდენციალურ ინფორმაციას** არ განეკუთვნება: (ა) ინფორმაცია რომელიც **კანონმდებლობის** საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს **კონფიდენციალური ინფორმაციის** მესაკუთრე **მხარის** წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და **მხარეთა** შეთანხმება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის **მესამე პირ(ებ)ის** კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად.

6.4. **მეანაბრე ბანკს** ანიჭებს უფლებამოსილებას, ფინანსური ან/და საინფორმაციო-ანალიტიკური მონაცემების შეგროვების მიზნით, **მესამე პირ(ებ)ს** გადასცეს ან/და **მესამე პირ(ებ)ისაგან** (მათ შორის ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და სხვა) მიიღოს, **მეანაბრის** შესახებ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაცია**.

7. ხელშეკრულების ცვლილება

7.1. **ხელშეკრულების** მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, **მეანაბრის** ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით / ელექტრონული ფოსტით / ინტერნეტ ბანკით / მობაილ ბანკით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. ამასთან წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც:

7.1.1. **ხელშეკრულებით** ან **პირობებით** განსაზღვრული მომსახურების ტარიფების ცვლილება ხორციელდება **მეანაბრის** სასარგებლოდ;

7.1.2. **ხელშეკრულებაში** ან **პირობებში** ხორციელდება ახალი პროდუქტის ან დამატება ან არსებულის შეცვლა, რომელიც არსებითად არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის **ხელშეკრულებაში** ან/და **პირობებში** არსებულ მომსახურებებს.

7.2. **ბანკი** უფლებამოსილია **ხელშეკრულების** მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალმხრივად (**მეანაბრის** დამატებითი თანხმობის გარეშე) შეცვალოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობები, მათ შორის **საპროცენტო განაკვეთი,** შემდეგი გარემოებებიდან ერთ-ერთის ან რამდენიმეს არსებობისას: ა) **კანონმდებლობაში**, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ მითითებებს, განხორციელებული ცვლილებების გამო **ბანკს** დაეკისრება ვალდებულებ(ებ)ი (როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური), რის გამოც **ბანკისთვის ანაბარზე ხელშეკრულებით** განსაზღვრული **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა დაკავშირებული იქნება დამატებით ხარჯებთან; ბ) განხორციელდება ეკონომიკური ფაქტორების იმგვარი ცვლილება, რომ **ანაბარზე ხელშეკრულებით** განსაზღვრული **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას **ბანკის** ფინანსურ სტაბილურობას; გ) **ბანკის** ან/და **მეანაბრის** ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით, **ბანკისთვის** არ არის ფინანსურად მომგებიანი **ანაბარზე ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა**;** დ) **მეანაბრის** მიერ **ბანკის** საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ **მეანაბრის** მიერ **ბანკის** საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობის ინტენსივობა არ არის **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **საპროცენტო სარგებლის** თანაზომიერი; ე) **ბანკის** მიმდინარე პოლიტიკის, შიდა დოკუმენტების, პროცესების ან/და ბიზნეს ინტერესების ცვლილების გამო, აუცილებელია **ხელშეკრულების** პირობების (მათ შორის **საპროცენტო განაკვეთის**) ცვლილება;

7.3. ხელშეკრულების სხვა პირობების ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს განახლებული **პირობების** წინასწარ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე **ბანკის** ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომად გახდომის გზით.

7.4. თუ **მეანაბრე** არ დაეთანხმება **ბანკის** მიერ შეცვლილ პირობებს, იგი ვალდებულია ცვლილებების ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ **ბანკს**. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ **მეანაბრე** ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

7.5. ცვლილებების მიღებაზე უარის დაფიქსირების შემთხვევაში, **მეანაბრე** უფლებამოსილია მოითხოვოს **ხელშეკრულების** დაუყოვნებლივ შეწყვეტა. ამასთან, თუ ასეთი მოთხოვნა არ არის დაფიქსირებული **მეანაბრის** მხრიდან განცხადებაში, **ბანკი** უფლებამოსილია თავად შეწყვიტოს **ხელშეკრულების** მოქმედება ცვლილებების ამოქმედების თარიღიდან.

8. პრეტენზიები და დავები

8.1. **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს **მხარეთა** შორის მოლაპარაკების გზით.

8.2. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** ადგილსამყოფელის მიხედვით.

8.3. **მეანაბრე** უფლებამოსილია, გაწეულ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის წარმოშობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით **ბანკის** ფილიალების ან/და სერვის-ცენტრების მეშვეობით, ან/და ელექტრონული ფორმით **ბანკის** კორპორატიული ვებ გვერდის www.libertybank.ge ან/და ელ-ფოსტა ConsumerProtection@lb.ge საშუალებით, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული წესით, **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

8.4. **ბანკის** მიერ პრეტენზიის განხილვის და შესაბამისი პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა შეადგენს 1 (ერთი) თვეს.

8.5. **მეანაბრეს** შესაძლებლობა აქვს გაეცნოს **ბანკის** მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურას **ბანკის** ვებ-გვერდის http://libertybank.ge საშუალებით.

9. ფორს-მაჟორი

9.1. **მხარე** არ არის პასუხისმგებელი მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან/და არაჯეროვან შესრულებაზე, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება განპირობებულია **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** მოქმედების შედეგად.

9.2. **ფორს-მაჟორის** მოქმედების განმავლობაში, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებები და მათი შესრულების ვადები შეჩერდება და გადავადდება **ფორს-მაჟორის** ხანგრძლივობის შესაბამისად. აღნიშნული ვადების დინება ან/და ვალდებულებების შესრულების პირობა განახლდება **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** აღმოფხვრისთანავე.

10. გადასახადები

10.1. **მეანაბრე** თავად არის პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოსთვის საგადასახადო განაცხადის შეტანაზე. **მეანაბრე** აგრეთვე თავად არის პასუხისმგებელი გადაიხადოს ნებისმიერი გადაუხდელი გადასახადი (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს საშემოსავლო გადასახადს, დამატებული ღირებულების გადასახადს), ბეგარა, საბაჟო გადასახადი, რომელიც შეიძლება დაწესდეს ნებისმიერ ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერ ან ყველა საბანკო მომსახურებასთან მიმართებაში (ერთად, "საგადასახადო ვალდებულება").

10.2. **ბანკი** თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე ან ვალდებულებაზე, რომელიც დაკავშირებულია **მეანაბრისაგან** მიღებულ საკომისიო თანხასთან. თუ **კანონმდებლობით** გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერი საგადახდო ვალდებულება უნდა შესრულდეს თანხების დაკავების გზით, **ბანკი** ან/და ნებისმიერი შვილობილი/აფილირებული კომპანია ამგვარი თანხის გადახდას მოახდენს **მეანაბრის** ხარჯზე ან/და **მეანაბრის ანგარიშიდან** თანხის უაქცეპოდ ჩამოჭრის გზით, რის თაობაზეც **ბანკი** უფლებამოსილი იქნება მიაწოდოს ინფორმაცია **მეანაბრეს**. თუ კანონის შესაბამისად **ბანკს** ეკისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა **მეანაბრის** საგადასახადო ვალდებულების გამო, **მეანაბრე** დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს **ბანკს** ყველა ამგვარ ვალდებულებას იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია **ბანკის** რომელიმე ქვედანაყოფის დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით.

10.3. **ბანკი** ვალდებულია შესაბამისობაში იყოს მხოლოდ საქართველოს **კანონმდებლობით** და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. საქართველოს **კანომდებლობასთან** ერთად **მეანაბრემ** უნდა დააკმაყოფილოს სხვა შესაბამისი ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნები (მოიცავს იმ ქვეყნის კანომდებლობას, რომლის მოქალაქეც არის **მეანაბრე** ან რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს).

11. დასკვნითი დებულებები

11.1. თუ **ანაბრის** დაბრუნების ან/და მასზე **დარიცხული სარგებლის ანაბრის მომსახურე ანგარიშზე** განთავსების თარიღი ემთხვევა არა **საბანკო დღეს**, **მეანაბრის** მიერ თანხის გატანა (გადარიცხვა) განხორციელდება მომდევნო **საბანკო დღეს**.

11.2. **მეანაბრე** ვალდებულია დაიცვას საიდენტიფიკაციო მონაცემების (მათ შორის წვდომის კოდების) კონფიდენციალურობა. **მეანაბრე** ადასტურებს და იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს მობილური ტელეფონის** ან/და მისი (**მობილური ტელეფონის**) ნომრის დაკარგვის, **მეანაბრის** მიერ ტელეფონის ნომრის მფლობელობის გაუქმების, გასხვისების, სხვისთვის გადაცემის ან/და სხვა ისეთი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **ბანკის** მიერ **მეანაბრისთვის** მომსახურების უსაფრთხო მიწოდებაზე.

11.3. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **მეანაბრის** მიერ **ბანკში** დაფიქსირებული **მობილური ტელეფონის** ნომრის შეცვლის, გასხვისების, **მობილური ტელეფონის** ან სიმ-ბარათის დაკარგვის, სხვისთვის გადაცემის და ნებისმირი მსგავსი ვითარების შედეგად გამოწვეულ შედეგებზე. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

11.4. დაუშვებელია **ხელშეკრულებაში** ხელით (მათ შორის კალმით ან/და სხვა საწერი საშუალებებით) რაიმე სახის ჩასწორების/კორექტირების შეტანა, ნებისმიერი ასეთი სახის ჩასწორება/კორექტირება ჩაითვლება ბათილად და ვერ მოახდენს გავლენას **ხელშეკრულების** პირობ(ებ)ის ინტერპრეტაციაზე.

11.5. **მეანაბრე** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირ(ებ)ს** სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, **ბანკი** მიუხედავად აღნიშნული პირობისა

უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებს **მესამე პირებისაგან** მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

11.6. **ბანკი** უფლებამოსილია, **მეანაბრის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირ(ებ)ს** სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები.

11.7. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე**, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

11.8. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით, მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.

11.9. **მეანაბრეს** არ აქვს უფლება უარი თქვას **დეპოზიტის ხელშეკრულებაზე** საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მიხედვით.

11.10. **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებ(ებ)ის (მათ შორის **მეანაბრის** მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევისას წარმოშობილი უფლებ(ებ)ის) გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებებზე **ბანკის** მიერ უარის თქმის საფუძველს. ამასთან, ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მხარეს** მეორე **მხარის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

11.11. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამუქებული სიტყვები მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** პირობ(ებ)ის ინტერპრეტაციაზე.

11.12. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის **სტანდარტული პირობებიც** განთავსებულია **მენაბრისათვის** ხელმისაწვდომ **ელექტრონულ არხში. ბანკის** სურვილის შემთხვევაში **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** და მის **სტანდარტულ პირობებს** უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებასთან** და მის **სტანდარულ პირობებთან** მიმართებაში.

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2026 წლის პირველი აპრილიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 50,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge

სს „ლიბერთი ბანკი“ წარმოადგენს ლიზენცირებულ ფინანსურ ინსტიტუტს და მოქმედებს 2010 წლის 31 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული #0110247 ლიცენზიის საფუძველზე;

სს „ლიბერთი ბანკის“ სათავო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #74-ში, 0162. დეტალური ინფორმაცია სს „ლიბერთი ბანკის“ მომსახურების პირობების და მომსახურების ობიექტების შესახებ ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე http://libertybank.ge;

სს „ლიბერთი ბანკის“ საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ გვერდზე - http://nbg.gov.ge;

საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.